



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №60

2018 წელი 30 ოქტომბერი


ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ №05 დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე